ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 6-353661/12

"11" 11 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ტუსკიას ქუჩა, №25-ში (საკ. კოდი №01.10.17.015.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2359152 04.01.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ტუსკიას ქუჩა, №25-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-6“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები და გამწოვი მილები. +19.60 ნიშნულზე არ არის დასრულებული საჩრდილობლის მოწყობა. „3-4“ მონაკვეთში +0.30 ნიშნულზე შეცვლილია ფასადის ღებვის ფერი.

„A-E“ ფასადი: „C-E“ მონაკვეთში +2.70 ნიშნულზე ფასადის ნაწილი შესაღებია. +19.60 ნიშნულზე აივნის თავზე არ არის დასრულებული საჩრდილობლის მოწყობა. +12.90 ნიშნულზე „B-D“ მონაკვეთში გაზრდილია შუაკედლისი 0.25 მ-ით. +19.60 ნიშნულზე „E-E“ ღერძის მიმდებარედ კედელი შესაღებია.

„E-A“ ფასადი: +12.90 ნიშნულზე „D-B“ მონაკვეთში გაზრდილია შუაკედლისი 0.25 მ-ით. +22.60 ნიშნულზე არ არის დასრულებული საჩრდილობლის მოწყობა. +22.90 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი და შესაღებია. +16.30 ნიშნულზე „C-A“ მონაკვეთში ვიტრაჟის გარშემო ფასადი შესაღებია. +9.60 ნიშნულზე აივანზე დამატებულია მეტალოპლასტმასის კარადა.

„6-1“ ფასადი: „4-3“ მონაკვეთში ზოგიერთი მინაბლოკის ღიობის შევსება არ არის დასრულებული. +16.30 და +19.60 ნიშნულებზე „4-3“ მონაკვეთში ღიობებში დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი რომელიც შესაღებია. „3-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი.

+0.30 ნიშნულზე: „E-E“ ღერძზე „4-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღობის კედელი. „3-3“ და „4-4“ ღერძებზე „E-D“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედლები. „6-6“ ღერძის გარეთ არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს და არ არის მოწყობილი ღია ავტოსადგომი. „6-6“ ღერძის გარეთ არ არის დასრულებული ტერიტორიის კეთილმოწყობა. +0.30 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში შეცვლილია კედლების გაბარიტები, ასევე შემცირებულია სადარბაზოში შესასვლელი კარის სიგანე 0.2 მ-ით.

+16.30 ნიშნულზე „E-E“ ღერძზე „2-1“ მონაკვეთში გაუქმებულია კოლონა. სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების ფორმა და გაბარიტები. +19.60 ნიშნულზე ტერასაზე დამატებულია არმატურის ნაშვერები. +22.90 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში სამანქანოში გაზრდილია ფილის გაბარიტები.

შენობაში „3-4“ მონაკვეთში შემცირებულია ლიფტის კარის გაბარიტები. პროექტში ნაჩვენებ გათბობა-გაგრილების აგრეგატებს მონაცვლებიბული აქვთ ადგილი და შეცვლილია მათი გაბარიტები. ფასადებზე ღია ნაცრისფერ ფერში ღებვის ნაცვლად მოწყობილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეფრქვევა დაფერვით. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

+16.30 და +19.60 ნიშნულებზე „3-3“ და „4-4“ ღერძებზე „E-D” მონაკვეთში ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია კარი. „3-3“ და „4-4“ ღერძებზე „E-D“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების ნახატი.

„6-6“ ღერძზე „B-B” ღერძის გარეთ დამატებულია დაბალი საყრდენი კედელი, რომელიც გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. იბა „იყალთოს გორა“-ს, ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ტუსკიას ქუჩა, №25-ში (საკ. კოდი №01.10.17.015.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №353661/12 29.09.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

KA980149986918316

№16/324461 **14 / დეკემბერი / 2016 წ.**

კონსტანტინე გოგიჩაიშვილი 01010013120
ნუცუბიძის მე-2 მკრ/რ, მე-4 კვ. კორპ. 2 , ბ 50

ბატონო კონსტანტინე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #422197/12 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ, ქ. თბილისში,სექტორი-საბურთალო, ტუსკიას ქუჩა, #25-ში (საკ. კოდი #01.10.17.015.001) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის #ბ-353661/12 ბრძანებაში მითითებული წითელი ხაზების დარღვევა გამოსწორებულია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე